1. პროგრამის სახელწოდება: ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერება

2. პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ირინე მელიქიშვილი

3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების მაგისტრი/MA in Linguistics (General and Comparative Linguistics)

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ჰუმანიტარული მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი;
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში;
- ერთერთი ევროპული უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) B2 დონეზე ფლობა.
- მაგისტრატურაში ჩამბარებელს არ მოეთხოვება არავითარი დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციებში და ექსპედიციებში მონაწილეობის ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების შესახებ. ასეთი წინაპირობები მხოლოდ სასურველია და არა სავალდებულო. ამგვარი გამოცდილების მქონე პიროვნებას უპირატესობა პროგრამაზე ჩაბარებისას მიენიჭება მხოლოდ სხვა ერთნაირ პირობებში.
- სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
მიზანი:

- სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც საწყისი საბაკალავრო განათლება ენათმეცნიერულ დარგებში აქვთ მიღებული და სურთ გააღრმავონ თავიანთი ცოდნა და მიიღონ კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი და შედარებითი ლინგვისტიკის სფეროში. სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს საფუძვლიან მომზადებას ენათმეცნიერების თეორიაში, რომელზე დამყარებითაც მოხდება ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების _ ექსპერიმენტული ფონეტიკის, კომპიუტერული ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის _ გაცნობა არჩევითი საგნების მეშვეობით; ასევე განხორციელდება შედარებითი ლინგვისტიკის დარგების _ ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების, არეალური ლინგვისტიკისა და ენათა კონტაქტების თეორიული საფუძვლების გაღრმავებულად შესწავლა და არჩევითი საგნების მეშვეობით მის ერთ-ერთ სფეროში პროფესიული სპეციალიზაცია. თეორიული დარგების არჩევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შესაბამის სფეროში, ხოლო შედარებითი ენათმეცნიერების დარგების არჩევის შემთხვევაში სტუდენტი ქართველურ, კავკასიურ და ინდოევროპულ ენათა შესწავლას დაემყარება.
- ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტებს მისცეს ენათმეცნიერების უახლესი მონაცემების გამოყენების შესაძლებლობები, გამოუმუშაოს ლინგვისტური პრობლემების დასმის, საჭირო რესურსების მოძიების, საკითხების კოპლექსურად

შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი; მისი ერთ-ერთი ამოცანაა აგრეთვე მაგისტრანტს გამოუმუშაოს აკადემიური პროექტის შექმნისა და მართვის უნარი. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს აღზარდოს პროფესიულ პრაქტიკაში დამოუკიდებელი, თვითკრიტიკული, ინიციატივიანი და პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტი.

- ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სტუდენტები, ასევე მასწავლებლები უცხოეთის სასწავლო ცენტრებიდან.

შედეგები:

- ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ გამოიყენოს, შეისწავლოს და სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ენათმეცნიერების ისტორიისა და თეორიის ყველა ფუნდამენტური მნიშვნელობის პრობლემა;
- სამაგისტრო კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეიძენენ ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მათ შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხების დასმის, მოსაზრებათა ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. კურსმადთავრებულები მომზადდებიან როგორც თანამედროვე ენათმეციერების ფართო დიაპაზონის სპეციალისტები, რომლებიც შესძლებენ ენათა ტიპოლოგიურ კვლევას როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ასპექტში, ასევე ენათა ისტორიული მიმართებების კვლევას მიკრო და მაკრო ნათესაობის თვალსაზრისით. გამოყენებითი ასპექტების არჩევის შემთხვევაში მათ შეეძლებათ თავიანთი ცოდნის რეალიზაცია ექსპერიმენტულ ლინგვისტიკაში, ფსიქოლინგვისტიკაში, სოციოლინგვისტიკასა და კომპიუტერულ ლინგვისტიკაში.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- საკვლევად არჩეული ნებისმიერი ენის კომპიუტერულ დამუშავებას; ენობრივ მოვლენათა მონაცემთა ბაზის შედგენას ინდექსებითა და საძიებლებით; დამოუკიდებელი კვლევისთვის საჭირო ბიბლიოგრაფიის მომზადებასა და ათვისებას, როგორც ქართულ, ისე სულ მცირე ორ უცხოურ ენაზე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე ნებისმიერი ენის კომპარატივისტული, დესკრიპციული, ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენებით კვლევას; ენათმეცნიერების მომიჯნავე და დამხმარე დისციპლინების მონაცემთა გამოყენებას ამა თუ იმ, მის მიერ დასმული ლინგვისტური თუ ექსტრალინგვის-ტური პრობლემის საკვლევად და გადასაჭრელად;
- მაგისტრატურის კურსის ფარგლებში მიღებული კომპეტენციის საფუძველზე ენათმეცნიერული პრობლემის გადაჭრასა და გადაწყვეტილების მიღებას, დროის სწორად გამოყენებას, ჯგუფში, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კვლევებზე ორიენტირებულ, სამეცნიერო გუნდში მუშაობას;
- ეფექტიან მუშაობას დამოუკიდებლად და ჯგუფში, როგორც წევრის, ისე ხელმძღვანელის როლში; შეეძლება ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ჯგუფის

სხვა წევრთა შესაძლებლობლების სწორად გამოყენება, კონფლიქტური სიტუაციების აცილება;

- სასწავლო რესურსების სრული სპექტრის გამოყენებას; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და მის განხორციელებას უახლეს მეთოდებსა და მიდგომებზე დაყრდნობით;
- მაგისტრანტს კურსის დასრულების შემდეგ ეცოდინება და თავისუფლად გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ექნება მულტიმედიური კომპეტენცია, რომელიც ხელს შეუწყობს ენათმეცნიერების პრობლემატიკის კვლევისას მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას.

დასაქმების სფეროები: ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების კურსდამთავრებულებს შეეძლებათ კვლევა-ძიება სამეცნიერო დაწესებულებებში. მზად იქნებიან დოქტორანტურის გასავლელად. მათ შეეძლებათ მუშაობა როგორც ლოგოპედებს, ლინგვისტური ექსპერტიზის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის სპეციალისტებს შესაბამის კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში;
ამას გარდა:

- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- სამეცნიერო ბიბლიოთეკებში;
- არქივებში;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- სასამართლოს სისტემაში, როგორც ლინგვისტური ექსპერტიზის სპეციალისტებს.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.